# [illegible]მარჯვ[illegible] საქართველოს!


# ლელო

26-28 მაისი, 1998 წ.
№ 36 (10 824) ● ფასი 15 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან












## ტყვიის სროლა

ტყვიის მსროლელთა ლოს-ანჯელესის საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელიც მსოფლიო თასის გათამაშების ჩათვლაში შედიოდა, ორგზის ისახელა თავი თბილისელმა ნინო სალუქვაძემ — მან ჯერ ანეუმატური პისტოლეტით შეჯიბრება მოიგო (584 ქულა), მერე მცირეკალიბრიანი პისტოლეტითაც აჯობა ყველას. ამ იარაღით მან საბოლოოდ 698,8 ქულა მოაგროვა და მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ნინო მალე ანალოგიურ შეჯიბრებებში გამოვა: თვის დამლევს — გერმანიაში, ივნისის დამდეგს — იტალიაში.

## კრივი

ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით დაბრუნდნენ ქართველი მოკრივეები ტამპერედან, მსოფლიოს VII ჩემპიონატიდან. დებიუტანტთა კვალობაზე გვარიანი ნადავლითაც დაიმშვენეს ხელი — 6-კაციანი (ეს ნახევარი გუნდია) ნაკრებისთვის ორი მედალი სოლიდური შედეგია. რაც მთავარია, მსოფლიო ჩემპიონატის მედლების ანგარიში გაიხსნა.

მესტიელმა რამაზ ფალიანმა (57 კგ), როგორც ბარსელონაში, ოლიმპიადაზე, ტამპერეშიც ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

გიორგი კანდელაკი — (91) ფინალში უნდა შეხვედროდა ბოლო ოლიმპიადის ჩემპიონს, კუბელ ფელიქს სავონის, მაგრამ ბრძოლა არ შედგა კანდელაკის ავადმყოფობის გამო, ამიტომ გორელ მოკრივეს ვერცხლის მედალი გადაეცა.

მსოფლიო ჩემპიონატის პირველი მედლები ჩვენი კრივის კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია.

## თავისუფალი ჭიდაობა

სტამბულში, ევროპის ჩემპიონატზე თავისუფალ ჭიდაობაში 68 კგ წონით კატეგორიაში გაიმარჯვა გორელმა ზაზა ზოზიროვმა, ხოლო თბილისელმა ელდარ კურტანიძემ (90) „ვერცხლი" დაისაკუთრა.

სურათებზე: ნინო სალუქვაძე, ზაზა ზოზიროვი; ქვევით (მარცხნიდან)—გიორგი კანდელაკი, ელდარ კურტანიძე, რამაზ ფალიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# SOS! თურქეთის ბაზარზე ქართველი სპორტსმენებიც იყიდებიან

ტამპერეში ახლახან გამართულ მოკრივეთა მსოფლიო ჩემპიონატში თურქეთის ერთმა მოკრივემ აკინ კულოღლუმ ფინალში იახპარზე 75 კგ წონით კატეგორიაში და ჩემპიონატის ვერცხლის მედალი მოიპოვა.

აკინ კულოღლუ ჩვენთვის ყველახთვის კარგად ცნობილი ქართველი აკაკი კაკაურიძეა, რომელიც თურქეთში გადავიდა.

რატომ ვერ გავუფრთხილდით ნიჭიერ და მზარდ სპორტსმენს? ის ხომ ევროპის ჩემპიონი იყო ჭაბუკთა შორის.

მრავალი კითხვა პასუხს მოითხოვს. ვწერდით და გავიმეორებთ — განუწყვეტლივ მიედინებიან უცხოეთში ქართველი ათლეტები, ცხადია, საუკეთესონი. სადამდე მიგვიყვანს ეს პროცესი, ძნელი ამოსაცნობი არ არის.

ქართულ სპორტს თუ სახირკვლე შეერყა, ჩვენი საერთო სირცხვილი იქნება.

რედაქციაში გვეწვია აკაკი კაკაურიძის ბიძა, თბილისელი ამირან კაკაურიძე. აი, რა გვითხრა მან: „კაკომ წუხელ დამირეკა, უკვე თურქეთშია, ქვეყნის პრეზიდენტთან შეხვედრაზე მიუწვევიათ. აეროპორტიდან დაუწყიათ მასზე და მის ოჯახზე ფულის გადაღება, მაგრამ ბიჭი გულმოკლული იყო, მითხრა — მე აქ რა მინდოდაო. აკინ კულოღლუს პასპორტი აკაკი კაკაურიძისთვის აეროპორტში გადაუციათ ტამპერეში გამგზავრების წინ...“

„ლელო“ შეეცდება ამ მტკივნეულ თემას კვლავაც დაუბრუნდეს.

საერთაშორისო
საჭადრაკო
ტურნირი
„შევარდენი-93“

## მეუღლეები ჯაიმზე შეთანხმდნენ



საჭადრაკო ტურნირების შვეიცარიული სისტემით მოწყობისას ასეთი წესია: თანაბარქულიანებს მორიგი ტურის წინ ერთად „უყრიან თავს“ და მათგან წილისყრით დააწყვილებენ მეტოქეებს. თბილისის II საერთაშორისო საჭადრაკო ასპარეზობის — „შევარდენი-93“-ის მეხუთე ტურის წინ მხოლოდ 7 აღმოჩნდა მინიმალური დანაკარგით. მათ შორის „შევარდენი-92“-ის ერთ-ერთი გამარჯვებული თბილისელი დიდოსტატი ზ. სტურუა გახლდათ (მან პირველ ორ ტურში მოუგო ი. ებზიანიძეს და თ. ლანჩავას, მერე საკუთარ მეუღლესთან — დიდოსტატ ნინო გურიელთან დაზავება არჩია, ბოლოს ა. ბოკუჩავასაც სძლია). 3,5 ქულა მოაგროვა აზერბაიჯანელმა ოსტატობის კანდიდატმა ჯ. ალამალიევმაც (მოუგო ა. ყაჩაშვილს, ზ. იგრიაშვილს, ხ. სუპატაშვილს, ქულა გაიყო ა. დგებუაძესთან) და მეხუთე ტურში სტურუას პირისპირ დადგა.

სხვა ლიდერები ამ ტურის წილისყრამ ასე „დაალაგა“: საერთაშორისო ოსტატი ლ. ჯანჯღავა (მანამდე მოუგო ვ. დუნდუას, გ. კალატოზიშვილს, ვ. ვეფხიშვილს, დაუზავდა დიდოსტატ ქეთევან კახიანს) და ოსტატობის კანდიდატი ა. დგებუაძე (სძლია ჯ. ბერაძეს, დ. დარჩიას, ი. ხურცილავას, დაუზავდა ალამალიევს), ნ. გურიელი (დაამარცხა ა. კვირიაშვილი, ნ. ლეჟავეიშვილი, მაია ჩიბურდანიძე, ყაიმი — სტურუასთან) და დიდოსტატი ქეთევან კახიანი (აჯობა რ. დადიანს, ს. ტერელაძეს, ირანელ შ. არიე ნეჟადის, ქულა გაიყო ლ. ჯანჯღავასთან).

მეშვიდე მონაწილე, რომელსაც ასევე მინიმალური დანაკარგი ჰქონდა, ოსტატობის კანდიდატი ა. ნადანიანი (სომხეთი) გახლდათ (მან მხოლოდ ნონა გაფრინდაშვილთან IV ტურში დაკარგა ნახევარი ქულა, მანამდე კი „ერთმანეთზე მიაწყო“ რ. ხოჭოლავა, ი. ჩიქოვანი და ნ. გელენავა). მეხუთე ტურში მას მეტოქედ მოევლინა დიდოსტატი გ. ზაიჩიკი, რომელმაც მეორე ტურში ინგა ხურცილავასთან წააგო, სხვა შეხვედრებში კი სძლია ნ. აფხაიძეს, დუნდუასა და მ. კაკელიძეს.

ორშაბათს (V ტურის დღეს) 3-3 ქულით შეხვდნენ, აგრეთვე, მასპინძლები: ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია, ბ. გურგენიძე გ. ბაღათუროვი, ი. ეფიმოვი, კ. შალამბერიძე, ზ. ხოფერია, ს. მოვსესიანი, თ. კიკიანი, ჩიქოვანი, ვეფხიშვილი, რ. სიჭინავა, ა. ჩიბუხჩიანი, ხ. სუპატაშვილი და ირანელი არიე ნეჟადი.

დაწინაურებულთა შორის არ არიან „შარშანდელი ასპარეზობის ერთ-ერთი გამარჯვებული მაია ჩიბურდანიძე და ვ. მირუმიანი (სომხეთი), რომელმაც მაშინ შესანიშნავი თამაშით საერთო ყურადღება მიიპყრო. მაიას ოთხი ტურის მერე 2,5 ქულა ჰქონდა, მირუმიანს — 2. არ არის დიდოსტატი ქეთევან არახამიაც — სამწუხაროდ, იგი შეჯიბრების მიღმა დარჩა... ავადმყოფობის გამო. მაყურებელმა სარბიელზე ვერც ჩვენი რესპუბლიკის ვაჟთა ლიდერი დიდოსტატი ზ. აზმაიფარაშვილი იხილა. მან ჩვენთვის ჯერჯერობით გაურკვეველი მიზეზების გამო თავი აარიდა წლევანდელ ტურნირს.

სულ კი 84 მოჭადრაკე ჩაერთო შეჯიბრებაში (მათგან მესამედი ქალია), რომელთა შორის 10-10 დიდოსტატი და ოსტატია, 4-4 საერთაშორისო და ფიდეს ოსტატი აზერბაიჯანიდან, ირანიდან, სომხეთიდან, საქართველოდან.

მეხუთე ტურის ზოგიერთი შედეგი, რომელთაც ლიდერთა განლაგებაში ერთგვარი ცვლილებები შეიტანეს, ასეთია:

ალამალიევ-სტურუას პარტიაში ქართველი დიდოსტატი დამარცხდა და თბილისელთა სტუმარი 4,5 ქულით ერთპიროვნული ლიდერი გახდა. მას 0,5-0,5 ქულით ჩამორჩნენ: ჯანჯღავა და დგებუაძე, გურიელი და კახიანი, რომლებიც ამ დღეს ერთმანეთთან დაზავდნენ. ამ ოთხეულს წამოეწივნენ: ბ. გურგენიძე, რომელმაც ცაიტნოტში აჯობა ჩიქოვანს, ზაიჩიკი, რომელმაც ნადანიანს სძლია, ვეფხიშვილი, შალამბერიძე და არიე ნეჟადი.

გაფრინდაშვილმა, ჩიბურდანიძემ და ალექსანდრიამ V ტურში ქულები გაიყვეს შესაბამისად თ. კიკიანთან, ა. ჩიბუხჩიანთან და ხ. სუპატაშვილთან.

### ჩვენი ტანვარჯიშის ფედერაცია უეფ-ის წევრია

შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში გაიმართა ტანვარჯიშში ევროპის ქვეყნების ფედერაციის (უეფ) კონგრესი, სადაც ახალ წევრად ერთხმად მიიღეს საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაცია.

ევროპის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე პიერ შაბლო (შვეიცარია) შეცვალა კლაუს ლოცმა (გერმანია). ეს ინფორმაცია მოგვაწოდა კონგრესის მონაწილემ, საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა მხატვრულ ტანვარჯიშში ქალბატონმა მზია ჯუღელმა.

### ვულოცავთ!

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია დაბადებიდან 70 წლისთავს ულოცავს საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებულ მუშაკს ავთანდილ კორინთელს.

• • •

თბილისის სპორტკომიტეტი დაბადებიდან 60 წლისთავს ულოცავს მთაწმინდის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს ჯუდე ქამუშაძეს.

კურიერი

### ინფორმაციის მოპოვება ძვირი დაგვიჯდება

15 მაისიდან ახალი ტარიფებია დაწესებული საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურებისათვის. რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრომ ახალი ტარიფები შემოიღო კონტინენტების მიხედვით. მაგალითად, ევროპაში ერთწუთიანი კავშირი ეღირება — 330 (მანეთი ან კუპონი), აზიაში — 330, აფრიკაში — 350, ამერიკის კონტინენტზე — 370, ავსტრალიაში — 380. სასწრაფო შეკვეთა ორჯერ ძვირი დაჯდება.

ასე რომ, ამიერიდან ინფორმაციის მოპოვება „ლელოსაც“ ძვირი დაუჯდება.

## აუცილებელი განმარტება

„ლელოს“ გასაჭირი გრძელდება. უსახსრობისა და უქაღალდობის გამო იძულებული გავხდით შეგვემცირებინა პერიოდულობა — ნაცვლად ყოველდღიურობისა, ჩვენი გაზეთი კვირაში გამოდის მხოლოდ ორჯერ, ისიც არასტაბილურად, 10-ჯერ შევამცირეთ ტირაჟი, რედაქციის შტატი განახევრდა, თანაც გაზეთის ორ ნომერში შეუძლებელია გააშუქო ყველა ასპარეზობა რაიონულიდან — საერთაშორისომდე. ამიტომ ბევრს ალიზიანებს ჩვენი „საბჭოური გეზიდან“ გადახვევა, როცა ყველაფერს ხარკს ვერ ვუხდით, ზემოაღნიშნული მიზეზები კი არავის ხურს გაიგოს. ერთხელ კიდევ ვაცხადებთ: „ლელოს“ არავინ აფინანსებს, გაზეთის გადამრჩენია მკითხველი და სპორტული ფედერაციები, რომლებმაც სპორტკომიტეტის მითითებით ავანსად ჩაგვირიცხეს რეკლამა-განცხადებების საფასური (აი მათ წინაშე ვართ ჩვენ ვალში) და ის ორგანიზაციები, რომლებმაც ჭანგაროდ გამოიღეს ხელი „ლელოს“ დასახმარებლად.

გვითქვამს და ვიმეორებთ, ვისაც რაიმე პრეტენზია გააჩნია „ლელოს“ მიმართ, ჯერ საკუთარ თავს დაეკითხოს, რით და როგორ უმართავს ხელს დახურვის პირას მისულ გაზეთს?

ვიცით, პრეტენზიები ჩვენი გაზეთისადმი ტრადიციული ღრმა სიყვარულით გამოითქმის, მაგრამ ჩვენც გაგვიგეთ!

### ბიზნესმენებო, ბანი მიეცით „ბანი და კომპანიას“!

ბევრჯერ დაგვიწერია ბიზნესმენთა შემწეობაზე, მაგრამ დღემდე მაინც ერთეულები არიან ისეთები, რომლებიც არც ეროვნულ საქმეს ივიწყებენ. კორპორაცია „ბანი და კომპანიის“ პრეზიდენტმა ბადრი ნინუამ კიდევ ერთხელ შეახსენა ყველას, რომ ბიზნესმენებმა სტიმული უნდა მისცენ ეროვნულ საქმეს ყველა სფეროში. „ბიზნესმენი იმას როდი ნიშნავს, ფული აკეთოს და მხოლოდ ოჯახში მიიტანოს“ — ეს ბ. ნინუას სიტყვებია.

„ბანი და კომპანია“ ახლა მთელმა რესპუბლიკამ გაიცნო ახალი საქველმოქმედო ღონისძიებით. კორპორაციამ დააწესა პრიზი „ბანი“, რომელიც ყოველწლიურად გადაეცემა ქართული მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების, სპორტის თვალსაჩინო წარმომადგენლებს, აგრეთვე მშვიდობის დაცვის საქმეში მოღვაწე რჩეულ ადამიანებს. პრიზებთან ერთად ლაურეატებს ეძლევათ 10 მილიონი მანეთი.

ამ დღეებში სასტუმრო „მეტეხში“ პრიზები გადაეცათ პირველ გამარჯვებულებს, რომელთა შორის 3 სპორტსმენია — ოლიმპიური ჩემპიონები კახი კახიაშვილი, დავით ხახალეიშვილი და ლერი ხაბელოვი.

ბიზნესმენებო, ბანი, ბანი მიეცით „ბანი და კომპანიას!“

### აშშ-ის ეოკი ზრდის შემოსავალს

როგორც მიღებულია, აშშ-ის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტიც საზოგადოებრივი ორგანიზაციაა და თავად მოიპოვებს საარსებო სახსრებს. იმასთან დაკავშირებით, რომ სპორტსმენთა მომზადება თანდათან ძვირდება, ამ ქვეყნის ეოკი ზრდის ფინანსურ შემოსავლებს. გასული ოლიმპიური თამაშების ოცწლეულში ბიუჯეტი 136-დან 200 მილიონ დოლარამდე გაზარდა. რის ხარჯზე? კორპორაციების მხარდაჭერის, ლიცენზიებისა და საფოსტო შემოსავლების გარდა დაიწყო ახალი ფინანსური წყაროების ძიება. კერძოდ, ტარდება საერთაშორისო სპორტული შეჯიბრებები მსოფლიოს საუკეთესო ათლეტების მონაწილეობით, თუმცა სპორტის ისეთი სახეობები, რომლებიც საერთო ინტერესს იწვევენ, ბევრი არ არის. პრაქტიკაში დაინერგა აგრეთვე სპორტის ზამთრის სახეობების ფესტივალი და აშშ-ის ეოკის მიერ ორგანიზებული სატელევიზიო პროგრამა.

აშშ-ის ეოკის იდეა ჰაერში დაეკიდათ ფედერაციებს და ახლა ისინიც მართავენ სხვადასხვა შეჯიბრებებს ფულის მოგების მიზნით. ეოკის წარმომადგენლებს არ მიაჩნიათ, რომ ფედერაციები მათი კონკურენტები არიან — „ჩვენთვის ყველასთვის მთავარია შემოსავალი, რაც ეროვნული სპორტის წინსვლას ემსახურება“ — აცხადებენ ისინი.

გამოცდილება

## გამაჯანსაღებელი ცენტრში ჩვენი მომავალია

ინგლისში ყოველწლიურად საგანგებო პრიზი გადაეცემა სპორტულ მენეჯერს, რომელიც თავს გამოიჩენს მოსახლეობას შორის სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ორგანიზაციაში.

ლაურეატთა სიაშია კრის ლეინის ჩოგბურთისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მომსახურების ცენტრი, რომელსაც გააჩნია ღია და დახურული კორტები, სატრენაჟორო დარბაზი, საცურაო აუზი, გამაჯანსაღებელი კლუბები. ამჟამად ცენტრი არსებობის მერვე წელს ითვლის, თავდაპირველად აქ 400 ადამიანი მეცადინეობდა, ამჟამად კი მათი რიცხვი 5000-ს აღწევს. შესაბამისად გაიზარდა შემოსავალიც — 500 ათასიდან 2 მილიონ გირვანქა სტერლინგამდე.

— წარმატება ძნელად მოვიდა, ბანკები არ იძლეოდნენ სესხს, პირველი ორი წელიწადი 100 ათასი გირვანქა სტერლინგის ზარალით დავამთავრეთ. მხოლოდ ახლა დავდექით ფეხზე — ამბობს ჯ. ლეინი.

ცენტრში 68 თანამშრომელია, თითოეულმა მათგანმა სულ მცირე 10 კონკურენტთან პაექრობაში მოიპოვა სამუშაო ადგილი. მთავარი, რითაც ამ სპორტულმა ცენტრმა და მისმა გამაჯანსაღებელმა კლუბებმა ავტორიტეტი დაიმსახურეს, ისაა, რომ აქ კლიენტებს თავიანთ ნებას კი არ ახვევენ, პირიქით, ისე მუშაობენ, როგორც ეს მომეცადინეებს სურთ.

ინფორმაცია მომზადდა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სპორტისა და ტურიზმის კომისიის მიერ მოპოვებული მასალების მიხედვით.

### იწვის სპორტული ბაზები...

ხშირად შორის, პირველი შემთხვევა არ არის, როცა სპორტულ ბაზებზეც ჩნდება ხანძარი (გამონაკლისია რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ობიექტები). ამჯერად, ცეცხლის ალი მოედო შავნაბადის ცნობილ სპორტულ კომპლექსს — სპორტულ დარბაზს და საცურაო აუზს. ხანძარი ჩააქრეს. დანაკარგები სერიოზულია. როგორც იტყვიან, მიზეზი და ზარალი დგინდება.

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი
ა. წერეთლის გამზირი № 2

26 მაისი ● ფეხბურთი

ეროვნული თასის გათამაშების ფინალური შეხვედრა

„დინამო“ (თბილისი) —

„ბათუმი“ (ბათუმი)

დასაწყისი 17 საათზე
ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 26 მაისს 11 საათიდან.

# საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

14 მაისი, XXX ტური.

**„შევარდენი-1906“ (თბილისი) — „სამტრედია“ (სამტრედია) 1-0.** მსაჯები: ჯ. წერეთელი, მ. ფოლადაშვილი (ორივე — რუსთავი), თ. შირიმიანცი (ქარელი); „შევარდენი-1906“: დევაძე, ქოჩლაძე (ტარტარაშვილი), მაჰავარიანი, ხამხარაძე, ჯიშკარიანი, კოპალეიშვილი, ნემსაძე, მელქაძე, გოგიჩაიშვილი, ყიზილაშვილი, მინაშვილი; „სამტრედია“: თოდაძე, ტონია, შურღაია (მეხიაჩენკო), ზზიკაძე, ვაშაკიძე, თურმანიძე, არაქელიანი, წულაია, ხახიშვილი, ფანჩულიძე, ხუბუა. გოლი: მინაშვილი.

შეხვედრის მონაწილენი სწრაფი ტემპით ვერ დაიკვეხნიდნენ. ეტყობოდა, მასპინძელს — გათამაშების ერთ-ერთ ლიდერს — მორიგი სამი ქულის აღება ძალების დაუძაბავად ჰქონდა განზრახული. გუნდი აშკარად თავდაჯერებული გამოვიდა მოედანზე და სტუმრებს რომ მეტი მონდომება გამოეჩინათ, უთუოდ ქულას მაინც წაიღებდნენ შინ.

უშედეგოდ, უინტერესოდ წარიმართა პირველი ტაიმი, ასეთივე „სტილში“ — მეორეც. ცხადი გახდა, თამაშის ბედს ერთადერთი გატანილი გოლი თუ გადაწყვეტდა. საფინალო სასტვენამდე 20 წუთი რჩებოდა, როდესაც სტუმრებმა აშკარა საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს და ამისათვის დაისაჯნენ კიდეც: მინაშვილმა შორიდან ძლიერად დაარტყა, ბურთი სამტრედიელ ფეხბურთელს მოხვდა, შეიცვალა მიმართულება და კარის ბადეში ამოჩნდა ისე, რომ თოდაძემ განძრევაც კი ვერ მოასწრო. საფიქრებელი იყო, რომ ამის შემდეგ სტუმრები იერიშზე გადავიდოდნენ, მაგრამ ეს არ მოხდა. მათ ამისათვის, უბრალოდ, ძალები არ ეყოთ.

**„ცხუმი“ (სოხუმი) — „დილა“ (გორი) 0-2.** მსაჯები: თ. ლაცაბიძე (ხურამი), მ. ჟღენტი (თბილისი), ზ. დარჩია (თბილისი). გააფრთხილეს ხაჰაპურიძე („დილა“). გოლები: ზ. ხორგუაშვილი, მარეხაშვილი („დილა“).

**„გორდა“ (რუსთავი) — „ბათუმი“ (ბათუმი) 1-1.** მსაჯები: გ. მიქაუტაძე, თ. მაჩიტიძე, პ. დოგრაშვილი (ხამივე — ქუთაისი). გოლები: ვ. კილასონია („გორდა“), ტუღუში („ბათუმი“).

**„იბერია“ (ხაშური) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 1-0.** მსაჯები: შ. თომაშვილი (მცხეთა), ი. მექერიშვილი (გურჯაანი), გ. ტაბატაძე (თბილისი). გოლი: ჩიბაშვილი („იბერია“). გააფრთხილეს გოგელიძე („სამგურალი“).

**„ოდიში“ (ზუგდიდი) — „კახეთი“ (თელავი) 1-0.**

**„გურია“ (ლანჩხუთი) — „მარგვეთი“ (ზესტაფონი) — გადაიდო.**

18 მაისი, XXXI ტური.

**„მრეტები“(თბილისი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 0—1.** მსაჯები: მ. კობიაშვილი (დუშეთი). დ. გვაზავა (აბაშა), ა. მერკვილაძე (ტყიბული).

„მრეტები“: ჯანელიძე, ასპინძელაშვილი, სიდამონიძე, პაპიძე, ძაბირაძე, დ. კაკუბავა (ყანჩაშვილი), იაგორაშვილი, ქვარცხავა, ჩუხუა, ამაშუკელი, ზეიკიძე, (თოლორდავა).

„ალაზანი“: ჩლაიძე, ყოლბაია, გუჯაბიძე, წიქარიშვილი, თევზაძე, ცომაია, ფოფხაძე, სეფაშვილი, კორლალიძე, ნეფარიძე, ქანთარია (ბაწაშვილი).

გააფრთხილეს: კაკუბავა, სეფაშვილი, სიდამონიძე.

გააძევეს ჩუხუა.

გოლი: გუჯაბიძე.

თამაში სტუმართა უპირატესობით დაიწყო და ასეც გაგრძელდა. გურჯაანელები ძირითადად უტევდნენ მარჯვენა ფლანგიდან, სადაც სეფაშვილი აქტიურობდა. ლამაზი იყო კორლალიძის მიერ ოსტატურად შესრულებული საჯარიმო — „მრეტების“ კარი ზედა ძელმა იხსნა. მალევე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა თბილისელმა ჩუხუამ.

ტაიმის მიწურულს სტუმართა შეტევაში მოულოდნელად ჩაერთო გუჯაბიძე, რომელმაც „კედელი“ გაითამაშა კორლალიძესთან, შეიჭრა „მრეტების“ საჯარიმო მოედანში და ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში. შემდგომ ორივე გუნდი ბევრს ეცადა, მაგრამ ანგარიში უცვლელი დარჩა.

სამწუხაროდ, ჩუხუასა და გუჯაბიძის ერთ-ერთი ორთაბრძოლა სავალალო შედეგით დასრულდა: თბილისელი მოედნიდან გააძევეს, ეროვნული ნაკრების ცენტრალური მცველი გუჯაბიძე კი ფეხის უმძიმესი ტრავმით სტადიონიდან პირდაპირ საავადმყოფოში წაიყვანეს.

„შევარდენი — 1906“ (თბილისი) — „კახეთი“ (თელავი) 1—0;

„სამგურალი“ (წყალტუბო) — „დინამო“ (თბილისი) 1—2;

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „ცხუმი“ (სოხუმი) 6—3;

„დილა“ (გორი) — „გორდა“ (რუსთავი) 4—0;

„ბათუმი“ (ბათუმი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 1—0;

„მარგვეთი“ (ზესტაფონი) — „კოლხეთი—1913“ (ფოთი) — გადაიდო.

* * *

## პირველი ჯგუფი

15 მაისი, XXIX ტური.

**„იმერეთი“ (ხონი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 2-0**

**„არაგვი“ (დუშეთი) — „ქართლი“ (გორი) 3-0**

**„შუქურა“ (ქობულეთი) — „ხიონი“ (ბოლნისი) — გადაიდო.**

**„არმაზი-90“ (თბილისი) — „სულორი“ (ვანი) 4-0**

**„გურია-2“ (ლანჩხუთი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 2-0**

* * *

**„ლელოს“ 18 მაისის ნომერში გაუწყეთ იმ ხერიოზული ინციდენტის შესახებ, რომელიც 10 მაისს მოხდა ზესტაფონში საქართველოს თასის ნახევარფინალური შეხვედრის დროს.**

**სფფ-ს სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ პირუთვნელად იმსჯელა მომხდარზე. მისი ვერდიქტი ასეთია:**

**1. ზესტაფონის „მარგვეთს“ აეკრძალა გაისად სათასო გათამაშებაში მონაწილეობა;**

**2. ზესტაფონის სტადიონი დისკვალიფიცირებულია 1994 წლის 10 მაისამდე, ხოლო „მარგვეთის“ საფეხბურთო კლუბი დაჯარიმებულია 100,000 მანეთით.**

**3. „მარგვეთის“ ფეხბურთელები გია გიგატაძე და ზაზა ინიაშვილი მსაჯთან კამათისა და მისი ფიზიკური შეურაცხყოფის მცდელობისათვის დისკვალიფიცირებულნი არიან 1998 წლის 1 ივლისამდე და დაჯარიმდნენ 50-50 ათასი მანეთით თითოეული.**

**აი, რა ფასად დაუჯდა გუნდს ზოგიერთი თავშეუკავებელი ფეხბურთელისა და ვაიგულშემატკივრის საქციელი.**

* * *

უმაღლესი ჯგუფის მსაჯთა შეფასებები:

XXVII ტური

„სამგურალი“ — „შევარდენი-1906“. მ. კობიაშვილი 9,0, დ. გვაზავა 8,5, ა. მერკვილაძე 9,0.

„დილა“ — „ალაზანი“, თ. ლორთქიფანიძე 6,0, მ. ჯულაყიძე 6,0, გ. ტაბატაძე 6,0.

XXVIII ტური

„კახეთი“ — „კოლხეთი-1913“. ჯ. წერეთელი 8,1, მ. ფოლადაშვილი 7,8, ა. წერეთელი. 7,0.

„ოდიში“ — „გურია“. მ. ჯულაყიძე 7,6, ს. კახიანი 9,0, ლ. მიქელაძე 7,5.

„დინამო“ — „ბათუმი“. თ. მაჰარაძე 8,8, ვ. ბერძენიშვილი, 8,0, თ. მელაძე 8,0.

„იბერია“ — „დილა“. შ. ხანიაშვილი 7,9, ზ. დოლიძე 7,9, გ. ასკარ-ოღლი 7,9.

„სამტრედია“ — „მრეტები“. ს. კვარაცხელია 9,8, შ. თომაშვილი 9,5, ი. მექერიშვილი 9,5.

XXIX ტური

„სამტრედია“ — „კახეთი“. ე. სილაგავა 9,0, ჯ. მგელაძე 9,0, გ. ტაბატაძე 9,0.

„სამგურალი“ — „ალაზანი“. მ. მალაღურაძე 9,4, ზ. ცინცაძე 9,4, თ. შირიმიანცი 9,4.

„ტორპედო“ — „იბერია“. ნ. კილაძე 8,6, ვ. ჩოჩიშვილი 8,8, ზ. დოლიძე 8,0.

„დილა“ — „დინამო“. გ. ხეჩუაშვილი 7,6, მ. ფოლადაშვილი 7,6, ი. მექერიშვილი 7,6.

„მარგვეთი“ — „გორდა“. თ. ლორთქიფანიძე 8,0, რ. ვერულაშვილი 8,0, გ. ასკარ-ოღლი 8,0.

„მრეტები“ — „შევარდენი-1906“. ვ. ეჯიბია 9,0, ს. შალამბერიძე 9,0, ზ. დოლიძე 9,0.

ჯემალ ჭიპაშვილი

# ჭაბუკთა პირველობის ზონალური გათამაშების საბოლოო ცხრილები

მალე დასრულდება ჭაბუკთა (1975-77 წლებში დაბადებულნი) წლევანდელი რესპუბლიკური პირველობა. ორივე ზონაში პირველ 4 ადგილზე გასულმა გუნდებმა შექმნეს ნახევარფინალური ჯგუფი, ცხარე ბრძოლების შემდეგ გადამწყვეტ, ფინალურ ეტაპზე გავიდნენ მხოლოდ აღმოსავლეთის ზონის გუნდები: „დინამო I“ (თბილისი), „ავაზა“ (თბილისი), 35-ე საფეხბურთო სკოლის I და II გუნდები. გამარჯვებული წრიული სისტემით გამოვლინდება.

## აღმოსავლეთის ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „35-ე საფ. სკ.—I“ (თბილისი) | 24 | 19 | 1 | 4 | 52-22 | 58 |
| „დინამო—I“ (თბილისი) | 24 | 18 | 3 | 3 | 92-34 | 57 |
| „35-ე საფ. სკ. II“ (თბილისი) | 24 | 17 | 5 | 2 | 52-24 | 56 |
| „ავაზა I“ (თბილისი) | 24 | 16 | 5 | 3 | 62-28 | 53 |
| „ავაზა II“ (თბილისი) | 24 | 14 | 1 | 9 | 42-37 | 43 |
| „მამული“ (რუსთავი) | 24 | 12 | 2 | 10 | 56-45 | 38 |
| „დინამო II“ (თბილისი) | 24 | 8 | 4 | 12 | 48-52 | 28 |
| „ახ. საფ. სკოლა“ (თბილისი) | 24 | 7 | 3 | 14 | 25-43 | 24 |
| „ივერია“ (ხაშური) | 24 | 7 | 3 | 14 | 40-56 | 24 |
| „იმედი“ (თბილისი) | 24 | 7 | 2 | 15 | 39-46 | 23 |
| „განთიადი“ (კასპი) | 24 | 6 | 2 | 16 | 33-64 | 20 |
| „ორბი“ (გორი) | 24 | 6 | 1 | 17 | 36-53 | 19 |
| „მერანი“ (თბილისი) | 24 | 2 | 0 | 22 | 11-89 | 6 |

## დასავლეთის ზონა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 14 | 10 | 1 | 3 | 34-11 | 31 |
| „ლანჩხუთი“ (ლანჩხუთი) | 14 | 8 | 2 | 4 | 21-12 | 26 |
| „მეგობრობა“ (ბათუმი) | 14 | 8 | 2 | 4 | 20-14 | 26 |
| „მართვე“ (ქუთაისი) | 14 | 7 | 2 | 5 | 17-18 | 23 |
| „მართვე“ (ვანი) | 14 | 7 | 2 | 5 | 27-25 | 23 |
| „კოლხეთი“ (ფოთი) | 14 | 4 | 1 | 9 | 16-23 | 13 |
| „ჩიხურა“ (საჩხერე) | 14 | 4 | 0 | 10 | 17-32 | 12 |
| „ლოკომოტივი“ (სამტრედია) | 14 | 2 | 2 | 10 | 9-26 | 8 |



# აფხაზეთში დაღუპული ფეხბურთელის ხსოვნის ტურნირი ტრადიციულად გაიმართება

**სპორტკლუბ** „შევარდენის“ აღზრდილი ფეხბურთელი გია შიხიაშვილი აფხაზეთში საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლას შეეწირა. კრწანისის რაიონის სპორტკომიტეტთან არსებული კლუბის „კავკასიონი-92“ (პრეზიდენტი ამირან აფრიაშვილი) თაოსნობით ამ დღეებში თბილისში ჩატარდა გია შიხიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ჭაბუკ ფეხბურთელთა რესპუბლიკური ტურნირი 13 გუნდის მონაწილეობით.

ფინალში „კავკასიონი-92“ (ბოლოს სწორედ ამ გუნდის მწვრთნელი იყო გია შიხიაშვილი) და გორის „ორბი“ შეხვდნენ ერთმანეთს. გაიმარჯვეს მასპინძლებმა 2-1 (მწვრთნელები — გოდერძი ჩიხრაძე და გივი მამულაშვილი). კლუბის ხელმძღვანელებმა ტურნირზე დააწესეს პრიზები და ფასიანი საჩუქრები. გიას დამ ნათელა შიხიაშვილ-ხურცილავამ კი გამარჯვებული გუნდის ყოველ წევრს 500-500 მანეთი გადასცა საჩუქრად.

ასპარეზობის სპონსორი იყო საქართველოს რკინიგზის გასამხედროებული დაცვა (უფროსი ზურაბ მამულაშვილი).

გია შიხიაშვილის ხსოვნის ტურნირი ამიერიდან ტრადიციულად ჩატარდება.

**სურათზე: ტურნირში გამარჯვებული „კავკასიონი-92“.**

# საქართველოს თასი

## ● ნახევარფინალი

**14 მაისი. „ტორპედო“ (ქუთაისი) — „დინამო“ (თბილისი) 1-3.** მსაჯები: მ. კობიაშვილი (დუშეთი), ო. გუნთაძე (ლანჩხუთი), შ. ბერიძე (ასპინძა).

**„ტორპედო“:** მაკასარაშვილი, ირნანიძე, გურიელიძე ჩხაბერიძე, ვოსკანოვი, რუხაძე, ჰყონია, ხუნდაძე, ჯანაშია, დარასელია, შენგელია;

**„დინამო“:** ზოიძე, ბერაძე, ჯამარაული, შელია, ა. არველაძე, ყაველაშვილი (კვარაცხელია), ინალიშვილი, ჩიქოვანი, რ. არველაძე, ქინქლაძე, შ. არველაძე;

გოლები: ა. არველაძე — 2, შ. არველაძე, ხუნდაძე.

ეს იყო ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა. პირველშიც, როგორც იცით, თბილისელებმა გაიმარჯვეს — 3:0.

**ახე რომ, 26 მაისს თბილისში ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე საქართველოს თასის გათამაშების ფინალში ერთმანეთის პირისპირ დადგებიან თბილისის „დინამო“ და ბათუმის „ბათუმი“. ვინაიდან წელს ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში თბილისის „დინამო“ იასპარეზებს (მას, ფაქტობრივად, განაღდებული აქვს საქართველოს ჩემპიონის ტიტული), ამ შეხვედრის შედეგის მიუხედავად ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ტურნირზე ბათუმელები გამოვლენ.**

# მსოფლიო ჩემპიონატი

გაიმართა მსოფლიოს XV საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი შესარჩევი შეხვედრები ევროპის ზონაში.

**I ჯგუფი.** ესტონელმა ფეხბურთელებმა უმასპინძლეს მალტის ნაკრებს და დამარცხდნენ — 0-1.

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 7 | 5 | 2 | 0 | 18—8 | 12 |
| იტალია | 7 | 4 | 2 | 1 | 15—6 | 10 |
| პორტუგალია | 5 | 2 | 2 | 1 | 8—4 | 6 |
| შოტლანდია | 5 | 1 | 2 | 2 | 3—8 | 4 |
| მალტა | 8 | 1 | 1 | 6 | 3—17 | 3 |
| ესტონეთი | 4 | 0 | 1 | 3 | 0—8 | 1 |

**III ჯგუფი.** ლატვიის და ალბანეთის გუნდების შეხვედრაში წარმატებას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია — 0-0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 8 | 4 | 3 | 1 | 16—2 | 11 |
| დანია | 7 | 3 | 4 | 0 | 5—1 | 10 |
| ირლანდია | 6 | 3 | 3 | 0 | 10—1 | 9 |
| ლიტვა | 7 | 2 | 3 | 2 | 8—11 | 7 |
| ჩრ. ირლანდია | 7 | 2 | 2 | 3 | 8—10 | 6 |
| ლატვია | 9 | 0 | 5 | 4 | 3—15 | 5 |
| ალბანეთი | 8 | 1 | 2 | 5 | 4—14 | 4 |

**VI ჯგუფი.** ერთ-ერთმა ლიდერმა, ბულგარეთის ნაკრებმა მიიღო ისრაელის გუნდი, მრავალი ცდის მიუხედავად მასპინძლები ვერას გახდნენ და ფრეს დასჯერდნენ — 2:2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 6 | 5 | 0 | 1 | 11—4 | 10 |
| ბულგარეთი | 7 | 4 | 1 | 2 | 12—7 | 9 |
| შვეცია | 4 | 3 | 0 | 1 | 7—3 | 6 |
| ავსტრია | 4 | 2 | 0 | 2 | 8—6 | 4 |
| ისრაელი | 5 | 0 | 1 | 4 | 5—16 | 1 |
| ფინეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 1—8 | 0 |

## აზიის ზონა

**ერ-რიადი.** საუდის არაბეთის ფეხბურთელებმა უფლება მოიპოვეს განაგრძონ ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური საგზურის მოსაპოვებლად. აზიის ზონის „ე“ ჯგუფში საუდის არაბეთის ნაკრებმა ანგარიშით 2-0 დაამარცხა ქუვეითის გუნდი.

ამავე ჯგუფში გაიმართა სხვა შეხვედრაც, რომლის შედეგს არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა პირველი ადგილისთვის ბრძოლაში. მალაიზიის ნაკრებმა დიდი ანგარიშით — 5-0 დაამარცხა მაკაოს გუნდი.

### „ე“ ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საუდ. არაბ. | 6 | 4 | 2 | 0 | 20—1 | 10 |
| ქუვეითი | 6 | 3 | 2 | 1 | 21—4 | 8 |
| მალაიზია | 6 | 2 | 2 | 2 | 16—7 | 6 |
| მაკაო | 6 | 0 | 0 | 6 | 1—46 | 0 |

# თასი „იუვენტუსმა“ მოიგოვა

**იტალიის** „იუვენტუსის“ ფეხბურთელებმა საკუთარ მინდორზე უეფას თასის განმეორებითი, საპასუხო ფინალური შეხვედრა მოუგეს დორტმუნდის „ბორუსიას“ (გერმანია) — 3-0 და დაეუფლნენ საპატიო ჯილდოს.

* * *

**● გერმანიის** საფეხბურთო ჩემპიონატში 31-ე ტურის შემდეგ, კვლავ დაწინაურდა მიუნხენის „ბაიერნი“, რომელმაც გასულ შაბათს შინ ანგარიშით 4—1 მოუგო ლევერკუზენის „ბაიერს“, ბრემენის „ვერდერმა“ კი ამავე დღეს სტუმრად წააგო მიონჰენგლადბახის „ბორუსიასთან“ 1—3.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „ბორუსია“ (დორტმუნდი) — „შტუტგარტი“ 0—4, „კაიზერსლაუტერნი“ — „ბაიერი“ (იურდინგენი) 2—1, „ვატენშაიდი“ — „ნიურნბერგი“ 4—1, „კიოლნი“ — „კარლსრუე“ 2—0, „დინამო“ (დრეზდენი) — „ბოხუმი“ 0—0, „აინტრახტი“ (ფრანკფურტი) — „შალკე-04“ 0—3, „ჰამბურგი“ — „საარბრიუკენი“ 2—0.

ლიდერები: „ბაიერნი“ — 44 ქულა, „ვერდერი“ — 42, „ბორუსია“ (დორტმუნდი) — 39, „აინტრახტი“ — 38, „ბაიერი“ — 34, „ბორუსია“ (მიონჰენგლადბახი) — 33.

# ომარ ფხაკაძე



უდიდესი დანაკლისის განცდამ შეძრა ჩვენი რესპუბლიკის სპორტული სამყარო — მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 48 წლისა გარდაიცვალა ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი ქართველი სპორტსმენი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ველოსპორტში ომარ ფხაკაძე.

მთელი მისი სიცოცხლე სპორტთან იყო დაკავშირებული. ქუთაისში დაიბადა, იქვე ეზიარა უმაწვილი სპორტის სიყვარულს, დაიწყო საგზატკეცილო ველორბოლით. ნიჭი და საუკეთესო ფიზიკური მონაცემები ბუნებით ჰქონდა მომადლებული, ამიტომაც არგუნა ბედმა პირველს დაეპყრო უმაღლესი სპორტული მწვერვალები ტრეკზე რბოლაში — შორს გაეტანა დედასაქართველოს სახელი. მრავლისმეტყველია, რომ ომარ ფხაკაძემ სპრინტერულ რბოლაში ყოფილი საბჭოთა სპორტის ისტორიაში პირველმა მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის წოდება, ჰქონდა ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები. სამგზის ოლიმპიადების მონაწილე — თამაშების მესამე პრიზიორი გახდა მიუნხენში. ათგზის იყო ყოფილი სსრ კავშირის ჩემპიონი სპრინტში. მეხიკოს ოლიმპიადაზე ორჯერ გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი.

დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ მწვრთნელად მუშაობდა, მისმა შეგირდებმა, მათ შორის შვილმა ომარმა, განაგრძეს სახელოვანი მასწავლებლის გზა. დიდხანს სათავეში ედგა რესპუბლიკის ნაკრებს, მუშაობდა ცენტრალური ველოტრეკის დირექტორად, ველოტრეკისა, რომელიც სწორედ მისი სახელისა და უმაღლესი სპორტული მიღწევების პატივსაცემად აიგო თბილისში. სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე კი საქართველოს ველოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტი იყო, სადაც სრულად გამოვლინდა მისი პროფესიული და ორგანიზატორული ნიჭი.

სახელოვანი სპორტსმენის ნიჭმა ქართულ კინოშიც გაიბრწყინა. ფილმი „ზარება და გოგია“ შეიყვარა ხალხმა, რაშიც დიდია ერთ-ერთი მთავარი გმირის — ზარებას როლის შემსრულებლის ომარ ფხაკაძის დამსახურება. ომარი ცხოვრებაშიც ისეთი იყო, როგორც კინოში მისი გმირი — ალალი, მოსიყვარულე, პატრიოტი, უდრეკი...

სამაგალითო მოქალაქის, აღმზრდელის, სპორტული ორგანიზატორის, შესანიშნავი მეოჯახის ომარ ფხაკაძის ხსოვნა სამარადისოდ დარჩება. მის სახელსა და ღვაწლს მუდამ მოწიწებით მოიხსენიებს მადლიერი შთამომავლობა.

ე. შევარდნაძე, თ. სიგუა, ვ. გოგუაძე, ზ. კერვალიშვილი, რ. გოცირიძე, ქ. გაბაშვილი, თ. შაშიაშვილი, ბ. ხურციძე, ქ. ახათიანი, ჯ. ბაგრატიონი, ნ. გაფრინდაშვილი, ო. გოგიაშვილი, ვ. ისელიძე, ო. კალაძე, გ. შენგელაია, ი. ხელაშვილი.

## საქართველოს მინისტრთა კაბინეტში

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა შექმნა გამოჩენილი ქართველი სპორტსმენის, მსოფლიო ჩემპიონის ომარ ფხაკაძის დამკრძალავი კომისია ზურაბ კერვალიშვილის თავმჯდომარეობით.

ო. ფხაკაძე დაიკრძალება საბურთალოს სასაფლაოზე.

დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

## ო. ფხაკაძის დამკრძალავი კომისიისაგან

ო. ფხაკაძის სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 26 მაისს 17 სთ. გამოსვენება 27 მაისს 15 საათზე.

მისამართი: ინგოროყვას ქ. № 3, I სადარბაზო, IV სართული (დოლიძის ქუჩის დასაწყისში).

საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ტურიზმის კომისია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ლეგენდარული ქართველი ველომრბოლის

ომარ ფხაკაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომი იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი სპორტსმენი, მსოფლიო ჩემპიონი და ოლიმპიური თამაშების პრიზიორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი

ომარ ფხაკაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის სპორტის კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი სპორტსმენი, მსოფლიო ჩემპიონი და რეკორდსმენი, ოლიმპიური თამაშების პრიზიორი ველოსპორტში სპორტის დამსახურებული ოსტატი

ომარ ფხაკაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ველოსპორტის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე ფედერაციის პრეზიდენტი, სპორტის დამსახურებული ოსტატი

ომარ ფხაკაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო“, ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სახელოვანი დინამოელი სპორტსმენი, მსოფლიო ჩემპიონი, XX ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ველოსპორტში

ომარ ფხაკაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მძლეოსნობის ფედერაცია ღრმა სინანულს გამოთქვამს ველოსპორტის რესპუბლიკური ფედერაციის პრეზიდენტის, წარსულში გამოჩენილი სპრინტერის ომარ ფხაკაძის გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს ოჯახს და ახლობლებს ომარ ფხაკაძის გარდაცვალების გამო.

## რესპუბლიკურ თათბირზე, 4 ივნისს

საქართველოს რესპუბლიკის სპორტკომიტეტი 4 ივნისს სპორტკომიტეტის შენობაში (ი. ჭავჭავაძის, 49) ატარებს რაიონების, ქალაქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების სპორტკომიტეტების თავმჯდომარეთა თათბირს.

დასაწყისი 12 საათზე.

# გივი კილაძე



რამდენიმე დღის წინ ტანვარჯიშის დარბაზში ნორჩების ასპარეზობას ესწრებოდა. ჩვეულებისამებრ ფუსფუსებდა გივი კილაძე — წვრილმანიც კი არ გამოეპარებოდა მის თვალს.

66 წლისა წავიდა ჩვენგან სანიმუშოდ შრომისმოყვარე, თავის საქმეზე მართლაც უზომოდ შეყვარებული, კეთილი, თავმდაბალი ადამიანი.

ბავშვობიდან შეიყვარა სპორტი, უპირველესად ტანვარჯიში. 10 წელიწადი გამოდიოდა საკავშირო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში, იყო საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და საკავშირო პირველობის პრიზიორი მრავალჭიდის ცალკეულ სახეობებში, სპორტის ოსტატი.

პარალელურად მოზარდებს წვრთნიდა — 1952 წლიდან ფიზკულტურის ტექნიკუმში ამეცადინებდა ნიჭიერ ტანმოვარჯიშეებს, მერე, 1954 წლიდან კი, ფიზკულტურის ინსტიტუტში საქმიანობდა. ნაყოფიერი იყო მისი მოღვაწეობა სტუდენტური სპორტის სარბიელზე.

1958 წლიდან, სიცოცხლის ბოლო დღეებამდე — მთელი 35 წელიწადი — გ. კილაძე გიორგი ეგნატაშვილის სახელობის განათლების სამმართველოს ტანვარჯიშის სპორტულ სკოლაში მუშაობდა მწვრთნელად. აქ მან აღზარდა მრავალი ნიჭიერი ოსტატი, რომლებიც შემდგომ საქართველოს მრავალგზის ჩემპიონები გახდნენ, წლების მანძილზე საქართველოსა და საკავშირო ნაკრებ გუნდებში შედიოდნენ. აკი მათ აღმზრდელს მიენიჭა კიდეც საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება.

ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან გივი კილაძე. გული წყდებოდა მხოლოდ, რომ ბოლო დროს ველარ ჩადიოდა მის საყვარელ ლესელიძეში, სადაც წლების მანძილზე აწყობდა შეკრებებს ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეებისთვის.

საქართველოს რესპუბლიკის ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაცია,
საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი,
გიორგი ეგნატაშვილის სახელობის განათლების სამმართველოს ტანვარჯიშის სპორტული სკოლა.

# ნიკოლოზ რობაქიძე



საქართველოში ფიზკულტურისა და სპორტის ერთ-ერთი თვალსაჩინო ორგანიზატორი იყო პერსონალური პენსიონერი ნიკოლოზ რობაქიძე.

ნ. რობაქიძე 1919 წელს დაიბადა თერჯოლაში, შრომითი საქმიანობა კი ჩხარში დაიწყო ფიზაღზრდის მასწავლებლად. ნიჭიერი ორგანიზატორი სულ მალე ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარედ დააწინაურეს და იმერეთის ამ რეგიონში ფიზკულტურასა და სპორტზე ზრუნვა დააკისრეს.

ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტში დანიშნეს ინსტრუქტორად, სამი წლის შემდეგ კი სპორტსაზოგადოება „მედიკოსის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს.

ნ. რობაქიძე დიდხანს საქმიანობდა სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. პენსიაზე გასვლის შემდეგ პასუხსაგებ თანამდებობებზე მუშაობდა სხვადასხვა ფიზკულტურულ-სპორტულ უწყებაში.

ყველგან, სადაც კი უმუშავია ამ ამაგდარ სპორტულ მუშაკს, საუკეთესო ადამიანური და საქმიანი თვისებების გამო მოხვეჭილი ჰქონდა დიდი ავტორიტეტი, პატივისცემა და სიყვარული.

ნიკოლოზ რობაქიძის ნათელ ხსოვნას მუდამ პატივს მიაგებს ყველა, ვინც მას იცნობდა.

საქართველოს რესპუბლიკის სპორტის კომიტეტი

22-31 მაისს ეწყობა საქართველოს მძლეოსნობის მსაჯთა ატესტაცია. არბიტრები ვალდებული არიან ატესტაციაზე გამოცხადნენ მძლეოსნობის რესპუბლიკურ ფედერაციაში (თბილისი, ჭავჭავაძის პრ. 49-ბ) ყოველდღე შაბათისა და კვირის გარდა, 10-დან 14-საათამდე.

მძლეოსნობის რესპუბლიკური ფედერაცია

საქართველოს ძიუდოს ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებს მსოფლიო და ევროპის ჩემპიონს, ოლიმპიური თამაშების პრიზიორს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ამირან ტოტიკაშვილს მამის

მიხეილ ტოტიკაშვილის

გარდაცვალების გამო.

ვეტერან სპორტსმენთა ასოციაცია „ფალავანი“ თანაგრძნობას უცხადებს მსოფლიო და ევროპის ჩემპიონს, ოლიმპიური, თამაშების პრიზიორს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ამირან ტოტიკაშვილს მამის

მიხეილ ტოტიკაშვილის

გარდაცვალების გამო.

სპორტული კლუბი „მთაწმინდა“ თანაუგრძნობს სპორტის დამსახურებულ ოსტატს ამირან ტოტიკაშვილს მამის გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაუგრძნობს ამირან ტოტიკაშვილს მამის გარდაცვალების გამო.

თბილისის განათლების სამმართველოს გ. ეგნატაშვილის სახელობის ოლიმპიური რეზერვის ტანვარჯიშის სპორტული სკოლის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის მასწავლებელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი

გივი კილაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაუგრძნობს ზურაბ სორავას მამის გარდაცვალების გამო.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

ჩვენი მისამართი. თბილისი [illegible], [illegible], 24. ტელ: [illegible] ინდექსი [illegible] INDEX დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში.